ქართველი წამებული მეფის ორი მაგალითი: დიმიტრი მეორე (1270-1289) და ლუარსაბ მეორე (1606-1615)

ხატია მამუკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ჭყოიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წ.

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა

ხატია მამუკაშვილი.....

თარიღი:..../...../2024

სარჩევი

აბსტრაქტი 4

Abstract 5

შესავალი 6

საკვლევი საკითხი/პრობლემა 6

კვლევის მიზანი 6

კვლევის მეთოდოლოგია 7

გამოყენებული ლიტერატურა 7

თავი I ჟამთააღმწერელი, ახალი ქართლის ცხოვრება და ვახუშტი ბატონიშვილი 8

თავი II საგარეო ვითარება მე-13 საუკუნესა (მონღოლები) და 17-ე საუკუნეში (სპარსელები) 10

თავი III მეფე დიმიტრი მეორე: პიროვნება და მეფე 35

თავი IV დიმიტრი მეორე და ეკლესია 38

თავი V ერისკაცობიდან წმინდანობამდე 39

თავი VI სიკვდილით დასჯა 41

თავი VII მეფე ლუარსაბ მეორე: პიროვნება და მეფე 45

თავი VIII მეფე და თავადები 49

თავი IX სიკვდილით დასჯა 54

თავი X დიმიტრი მეორე და ლუარსაბ მეორე: მსგავსებები და განსხვავებები 58

დასკვნა 61

ბიბლიოგრაფია 63

აბსტრაქტი

მრავალი ერის ისტორიაში არსებობს მოწამეობრივად აღსრულებული პიროვნებები, რომლებიც დიდ კვალს ტოვებენ და ხდებიან სხვა ადამიანებისთვის მაგალითი. მოწამეობრივად აღსრულებას, რა თქმა უნდა, თავისი ინდივიდუალური წინაპირობა აქვს.

საქართველოშიც უხსოვარი დროიდან გვხვდება ბევრი ადამიანი, რომელიც ერისკაცობიდან წამებულ წმინდანად გვესახება. ვფიქრობ, ამ მხრივ გამორჩეული პიროვნებები არიან დიმიტრი II და ლუარსაბ II, საქართველოს მეფეები. ორივე მათგანი გამორჩეული მონარქია, რომელთა ცხოვრების აღწერით და ერთმანეთთან შედარებით დაგანახებთ ორი მოწამე მეფის სახეს, რა ადგილი ეჭირა მათ ცხოვრებაში რელიგიას და სამშობლოს სიყვარულს.

მოწამე მონარქი --- გამორჩეული და იშვიათი შემთხვევაა ზოგადად ქრისტიანი ერების ისტორიაში. რადგან საქართველოს ისტორია ამ მხრივ მდიდარია, ყოველი ასეთი მაგალითის წარმოჩენა ზოგადად ქრისტიანობის დიაქრონულ ასპექტში უკეთ გააზრებასა და შესწავლაშიც დაგვეხმარება.

განცალკევებით დიმიტრისთან და ლუარსაბთან მიმართებით ისტორიკოსებს ბევრი უმსჯელიათ, თუმცა მათი, როგორც ორი მოწამე მეფის, შედარება ჯერ არ მომხდარა. აქედან გამომდინარე, ჩემი მიზანი ამ ორი მეფის ერისკაცობიდან მოწამეობრივ აღსრულებამდე პერიოდის სიღრმისეული შესწავლა და შედარება იყო. ამ შედარებითი ანალიზით მათი მოღვაწეობის პერიოდებს შორის მანძილი ქრება და მეტი ყურადღება მახვილდება საერთო ღირებულებებზე, მათ მიერ გადადგმული ნაბიჯების მსგავსებებზე, სულიერ მდგომარეობაზე და ასე შემდეგ. შეძლებისდაგვარად, ისტორიული წყაროების სიმწირის გამო, ვეცდები ყველაფერი ეს ნათლად ჩამოვაყალიბო.

Abstract

In the history of many nations, there are martyred individuals who leave a great mark and become an example for other people. Martyrdom, of course, has its individual prerequisites. Even in Georgia since time immemorial, there are many people who look like martyred saints from the laity.

I think that Dimitri II and Luarsab II, kings of Georgia, are outstanding personalities in this regard. Both of them are distinguished monarchs, by describing their lives and comparing them to each other, you can see the faces of the two martyred kings, what place religion and love of the country held in their lives.

A martyred monarch is a unique and rare case in the history of Christian nations in general. Since the history of Georgia is rich in this respect, presenting each such example will help us to better understand and study Christianity in general in its diachronic aspect.

Historians have much to say about Dimitri and Luarsab separately, although their comparison as two martyred kings has not yet happened. Therefore, my goal was to do an in-depth study and comparison of the period from laymanhood to martyrdom of these two kings. With this comparative analysis, the distance between the periods of their work disappears and more attention is focused on the common values, the similarities of the steps taken by them, the spiritual state and so on. As much as possible, due to the paucity of historical sources, I will try to make everything clear.